თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4127148

ნომერი: AR1620967

თარიღი : 03.08.2018

გაცემის თარიღი : 17.08.2018

გაცნობის თარიღი : 27.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან წკრიალაშვილი პ/ნ 59001031338
- გორი რ.სტურუას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2018 წლის 3 აგვისტოს №AR1620967 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 3 აგვისტოს №AR1620967 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას

სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3687783 ბრძანებაში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3687783 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღომი, I მიკრო/რაიონსა და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, (ნაკვეთი 09/033), შპს "პროდიუს ინვესტ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.009.045), მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 17 ოქტომბრიდან 2018 წლის 18 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 16 მაისის №3962739 გადაწყვეტილებით სამსახურმა დაადასტურა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღომი, I მიკრო/რაიონსა და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, (ნაკვეთი 09/033), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.06.009.045), მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 21/03/2018 წლის Nბ-19/01173611410-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3687783 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას +23,70 ნიშნულის ხილვადი გეგმა, ასევე ვიანიდან განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი +20,60 და +39,200 (მე-13 სართული) ნიშნულებზე საზაფხულო ფართობების ჯამი არ ემთხვევა სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3687783 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე მითითებულ ფართებს საჭიროა აღნიშნული მოყვანილ იქნას ერთმანეთთან შესაბამისობაში და ასევე წარმოდგენილ იქნას შესწორებული საერთო ფართობიც.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 05 (ხუთი-) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია, კერძოდ: საჭიროა წარმოდგენილ იქნას +23,70 ნიშნულის ხილვადი გეგმა, ასევე ვიანიდან განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი +20,60 და +39,200 (მე-13 სართული) ნიშნულებზე საზაფხულო ფართობების ჯამი არ ემთხვევა სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3687783 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე მითითებულ ფართებს საჭიროა აღნიშნული მოყვანილ იქნას ერთმანეთთან შესაბამისობაში, ასევე წარმოდგენილ იქნას შესწორებული საერთო ფართობიც.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2018 წლის 3 აგვისტოს №AR1620967 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.